

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის  
ოქმი №1

ქ.თელავი

17. 02. 2022 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის  
თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი  
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თინათინ ხანჯალიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი,  
გივი ლაფაური, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კველიშვილი, ანა  
ოთარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი, თელავის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ  
საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ქეთევან ილაშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

3. გიორგი მარგალიტაშვილის მიერ, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან

გათავისუფლების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ -ს განცხადების განხილვის შესახებ, საკრებულოს წევრის ზაქარია გრიშკაშვილის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრად მიღებასთან დაკავშირებით.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

- მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვას: მომხსენებელმა ლ. ბერძენაშვილმა დებულების პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, შესული ცვლილებების შესაბამისად აუცილებელია ახალი კომისიის დებულების დამტკიცება და წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტის პროექტი. ამავე საკითხთან დაკავშირებით დააყენა საკითხი, რომ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და დადგეს ინიციატივა საკრებულოს ბიუროს წინაშე, რათა ადმინისტრაციული წარმოების დაწყებაზე საკითხი წარედგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე. აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა, შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვას: მომხსენებელმა ლ. ბერძენაშვილმა განმარტა, რომ უკვე წლებია მუნიციპალიტეტის მიერ უსახლკაროდ დარჩენილ იზოლდა ჭყოიძის ოჯახს დროებით სარგებლობაში რამოდენიმეჯერ გადაეცა მუნიციპალიტეტის მიერ სოფ. რუისპირში არსებული ყოფილი ვეტაფთიაქის შენობა. ვინაიდან ბენეფიციარის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა მატერიალურად და მას არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა შეიძინოს საკუთარი საცხოვრებელი ფართი, ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ მერიის მიერ ინიცირებული პროექტის შესაბამისად კიდევ ერთხელ გადაეცეს ქონება სარგებლობაში უსასყიდლოდ 2 წლის ვადით. აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა, შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა.

მოისმინეს: 3. გიორგი მარგალიტაშვილის მიერ, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვას: მომხსენებელმა ლ. ბერძენაშვილმა განმარტა, რომ უკვე წლებია მუნიციპალიტეტი გ.მარგალიტაშვილს უგრძელებს სააუქციონო პირობას, რომელიც გულისხმობს მის მიერ შეძენილ ქონებაზე 53.20.31.300 შენობის აშენებას და 2 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში შესვლას. საკითხზე კომისიის წევრმა თინათინ ხანჯალიაშვილმა დამატებით განმარტა, რომ ხსენებულ საკითხზე დაინტერესებულ პირს

შემოტანილი აქვს განცხადება, რომელიც იუწყება, რომ პირობა ნაწილობრივ შესრულებულია და ვერ ასწრებს დასრულებას. ამასთან ერთად თინათინ ხანჯალიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან გ.მარგალიტაშვილი არის დაზარალებული წინა მესაკუთრის ზაზა გურგუჩიანის მხრიდან, რადგან მან მოტყუებით მიყიდა ვითომ უფლებრივად უნაკლო ნივთი მაგრამ შემდგომში აღმოჩნდა, რომ ნივთი აუქციონზე შეძენილი იყო გარკვეული პირობებით, ამიტომ იგი წარმოადგენს დაზარალებულ მხარეს და მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად მას უნდა მოეხსნას ვალდებულება (სააუქციონო პირობა). აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა, შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა.

მოისმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს განცხადების განხილვის შესახებ.


მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვას: მომხსენებელმა ლ. ბერძენაშვილმა განმარტა, რომ კომისიის სახელზე შემოსულია ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარის განცხადება, რომელიც ეხება ამავე ფრაქციის წევრის, ზაქარია გრიშკაშვილის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში წევრად მიღებას და ამ საკითხზე შესაბამისი პროცედურის დაწყებას. აზრი გამოთქვა ლევან ბერძენაშვილმა და განმარტა, რომ საკითხი არის სამართლებრივ ჩარჩოებში, ჯდება ფრაქციისათვის საკრებულოს მიერ მუდმივმოქმედ კომისიებში უკვე განსაზღვრულ კვოტირების ფარგლებში და რაიმე სახის ხარვეზი არ ვლინდება. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკითხი უნდა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს. აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა

კომისიის ყველა წევრმა, შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა.

დასკვნა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარის განცხადება, რომელიც ეხება ამავე ფრაქციის წევრის, ზაქარია გრიშკაშვილის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში წევრად მიღებას, გადაწყვეტილი იქნას დადებითად და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს ცნობის სახით.

კომისიის თავმჯდომარე:



ლევან ბერძენაშვილი